ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის
მართლმადიდებლური სკოლის

მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები:

1. მოსწავლეთა სკოლასთან ადაპტაციის წესი
2. მოსწავლეთა შორის მედიაციის მარეგულირებელი წესი
3. მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმი

დამტკიცებულია
ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლური სკოლის
აღმასრულებელი დირექტორის 2023 წლის 13 ნოემბრის №N119 ბრძანებით

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლური სკოლის

მოსწავლეთა სკოლასთან ადაპტაცია

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლური სკოლის (შემდგომში „სკოლა“) მოსწავლეთა სკოლასთან ადაპტაციის წესი (შემდგომში „წესი“) შემუშავებულია სკოლის სასწავლო პროცესისა და ფსიქოლოგთა რეკომენდაციბის საფუძველზე და მიზნად ისახავს სკოლის მოსწავლეთა სკოლასთან მარტივად ადაპტაციას.

მუხლი 2. ადაპტაციის მნიშვნელობა და მიზნები

1. ადაპტაცია წარმოადგენს სხვადასასხვა ინსტრუმენტებისა და პროცედურების ერთობლიობას, რომლის მიზანია რაც შეიძლება სრულფასოვნად და ეფექტიანად მოხდეს ახალი მოსწავლის ინტეგრაცია სკოლის სოციალურ გარემოსთან, კულტურასა და ღირებულებებთან.
2. მოსწავლის ადაპტაციის პერიოდი შეიძლება მოიცავდეს 2-3 კვირიდან 6 თვემდე პერიოდს მოსწავლის უნარების, შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით.
3. ადაპტაცია მოიცავს მოსწავლის სკოლაში მიღებას, ორიენტაციასა და მენტორინგს.
4. ადაპტაციის პროცესის ეფექტიანობას განსაზღვრავს პროცესში ჩართული მხარეების ურთიერთთანამშრომლობა და კოორდინაცია.
5. მოსწავლეთა სკოლასთან წარმატებული ადაპტაციისათვის ძალიან მნიშვნელოვანია სასწავლო მოტივაცია. განსაკუთრებით სასკოლო სწავლების პირველ წელს ის ძირითადად უფროსების მიერ არის უზრუნველყოფილი. იმაზე, თუ როგორ ხვდებიან ისინი ბავშვის მცდელობას გაიგოს და აითვისოს რაღაც ახალი, ბევრად არის დამოკიდებული რამდენად მოუნდება ბავშვს სწავლა. სასწავლო მოტივაციის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია, რომ ბავშვის პირველ ნაბიჯებს სკოლაში უფროსები შეხვდნენ ინტერესით და გაგებით (იხ. დანართი N1)
6. ადაპტაციის მიზნებია:

ა) ახალი მოსწავლის სკოლაში/კლასში სწრაფი ინტეგრაცია, სოციალიზაცია და ორიენტაცია;

ბ) ორგანიზაციაში არსებული ღირებულებების, კულტურისა და წესების შესახებ ინფორმირება;

გ) საჭირო უნარების გამომუშავებაში დახმარება და მისთვის დაკისრებული მოვალეობებისა შესახებ ინფორმირება;

დ) ახალი მოსწავლისთვის სკოლის მისიის, ხედვის, შინაგანაწესისა და სხვა ღირებულებების გაცნობა.

მუხლი 3. ადაპტაციაში ჩართული პირები

1. მოსწავლის ადაპტაციის პროცესში ჩართული არიან სკოლის ადმინისტრაცია, კლასის დამრიგებელი, საგნის მასწავლებლები და თანაკლასელები.
2. ჩართული პირების მთავარ როლს წარმოადგენს ახალ მოსწავლესთან რეგულარული კომუნიკაციის დამყარება, ძირითადი ინფორმაციისა და რესურსების მიწოდება, მისი დაკავშირება სკოლაში მომუშავე სხვა ადამიანებთან და სკოლის ინფრასტრუქტურის გაცნობა.

მუხლი 4. ადაპტაციის ეტაპები

1. **სკოლასთან ადაპტაციის ეტაპებია:**

1.1. **მოსამზადებელი ეტაპი** - ახალი მოსწავლის სკოლაში გამოცხადებამდე პერიოდი ჩართულ მხარეებს საშუალებას აძლევს, რომ ახალი მოსწავლე მიიღონ მომზადებულ გარემოში, რითაც დაეხმარებიან სწრაფ და ეფექტურ ორიენტაციაში. მაგალითად, კლასის დამრიგებელი სამამრიგებლო კლასის მოსწავლეებსა და კლასის პედაგოგებს მაიწვდის ინფორმაციას ახალი მოსწავლის შესახებ და შეუქმნის მოლოდინს. მასწავლებლებს, ასევე, მიაწოდებს ინფორმაციას მოსწავლის აკადემიური მოსწრების, ინტერესების შესახებ და ასევე, მშობლების მიერ მიწოდებული თხოვნებს მაგ. სახელის დაძახებასთან დაკავშირებით. სკოლის ადმინისტრაცია ექიმს გადასცემს მონაცემებს ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ და სხვა. ამავე პერიოდში უკეთესია, თუ მოხდება მოსწავლისთვის ინფრასტრუქტურის გაცნობა.

1.2. **პირველი დღე სკოლაში** - ამ ეტაპის ამოცანაა ახალმა მოსწავლემ თავი იგრძნოს მიღებულად, მნიშვნელოვნად და კომფორტულად, რაც განაპირობებს მის სასწავლო მოტივაციას. ახალი მოსწავლის პირველ დღეს სკოლის წარმომადგენლებმა განსაკუთრებული მნიშვნელოვა უნდა მიანიჭონ, რადგან ახალი მოსწავლის დამოკიდებულებებსაც და წარმოდგენას სკოლის, თანაკლასელებისა და ზოგადად გარემოს მიმართ პირველ დღეებში მიღებული გამოცდილება განაპირობებს. ამისათვის, სასურველია მოსწავლეს პირველ დღეს სკოლის შესასვლელში შეხვდეს კლასის დამრიგებელი, რომელიც თვითონ მიაცილებს მოსწავლეს საკლასო ოთახამდე, გააცნობს თანაკლასელებს, მოუყვება დღის გეგმის (რეჟიმის) შესახებ, დაუსვამს კითხვას დამატებითი საჭიროებების ან ინფორმაციის შესახებ და სთხოვს საგაკვეთილო პროცესში ჩართვას.

1.3. **ადაპტაციის პერიოდი** - მოცემული პერიოდი მოიცავს მოსწავლის სრულ ადაპტაციას სკოლასთან. თავდაპირველად ხდება მოსწავლისთვის ქცევის წესების გაცნობა, კლასელებთან დამეგობრება, ღონისძიებებსა თუ აქტივობებში ჩართვა, დახმარება ისეთ საკითხებში, რომლებიც მისთვის უცხოა ან რთულად შესასრულებელია, ინიციატივების წახალისება, უნარების გამოკვეთა, სირთულეების იდენტიფიცირება და აღმოფხვრა. ამავე ეტაპზე ფაქტობრივად ხდება შეჯამება თუ როგორ გაიარა მოსწავლემ ადაპტაციის პერიოდი და რამდენად აკმაყოფილებს წარმატებული ადაპტაციის კრიტერიუმებს.

1.4. **ადაპტაციის სხვა შემთხვევები** - იმ შემთხვევაში თუ მოსწავლემ ვერ გაიარა ადაპტაციის პერიოდი წარმატებულად ან სკოლისათვის თავიდანვე ცნობილია მოსწავლის სირთულეების შესახებ ან მას აქვს სსსმ მოსწავლის სტატუსი, სკოლა ხელმძღვანელობს „ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის N16/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესების შესაბამისად.

მხული 5. სკოლასთან ადაპტაციის განმსაზღვრელი ფაქტორები

- ბავშვის ინდივიდუალური თავისებურებები
- სასწავლო დაწესებულების ტიპი
- საგანმანათლებლო პროგრამების სირთულის ხარისხი
- ბავშვის სკოლისათვის მზაობის დონე

მუხლი 6. სკოლასთან ადაპტაციის შედეგები და ნიშნები

6.1. სკოლასთან წარმატებული ადაპტაციის ნიშნებია:

- ბავშვი მხიარული, მშვიდი და ხალისიანია
- სწრაფად პოულობს მეგობრებს თანაკლასელებს შორის
- სიამოვნებს მასწავლებლებზე და თანაკლასელებზე საუბარი
- დაძაბულობის გარეშე ასრულებს მასწავლებლის მითითებებს და ადექვატურად რეაგირებს შენიშვნებზე
- მოსწონს სასკოლო ცხოვრების წესი
- დღის ახალი რეჟიმი მისთვის კომფორტულია (არ ტირის დილაობით, არ უჭირს ღამით ჩაძინება და ა.შ.)
- არა აქვს სკოლასთან, მასწავლებლებთან და თანაკლასელებთან დაკავშირებული შიშები

6.2. სკოლასთან დეზადაპტაციის ნიშნები

- ბავშვი სწრაფად და ხშირად იღლება
- შეიძლება უჩიოდეს თავის ტკივილს, უმადობას
- უჭირს საღამოს ჩაძინება და დილით გაღვიძება
- ხშირად საყვედურობს, ემდურება თანაკლასელებს
- წუწუნებს მასწავლებლის მოთხოვნებზე
- აქვს შინაგანი პროტესტის განცდა, ჭირვეულია ისეთ სიტუაციებშიც კი, სადაც ადრე სიმშვიდით გამოირჩეოდა
- უჭირს იყოს სასკოლო მოთხოვნების შესაბამისი, ვერ იცავს სასკოლო წესებს
- როგორც წესი, ასეთ ბავშვები განიცდიან სირთულეებს და აქვთ პრობლემები სასწავლო საქმიანობაში

მუხლი 7. დასკვნითი დებულებები

1. მოსწავლეთა სკოლასთან ადაპტაციის წესს შეიმუშავებს და ამტკიცებს სკოლის დირექტორი ბრძანების გამოცემის გზით.
2. წინამდებარე წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, ასევე, ძალადაკარგულად გამოცხადება ხდება ამავე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წესით.

დანართი N1.

რეკომენდაციები მშობლებისთვის სკოლასთან ადაპტაციის ხელშესაწყობად

- ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც შეიძლება ვაჩუქოთ საკუთარ ბავშვს, ეს ჩვენი ყურადღებაა
- მშობლების დადებითი დამოკიდებულება სკოლასთან, მასწავლებლებთან გაუიოლებს ბავშვს სკოლასთან ადაპტაციის პროცესს
- დავეხმაროთ ბავშვს შეეგუოს ცხოვრების ახალ რეჟიმს, დაამყაროს კეთილგანწყობილი დამოკიდებულება თანატოლებთან
- სკოლაში ყოფნის პირველივე დღეებში მნიშვნელოვანია დავეხმაროთ ბავშვს ირწმუნოს საკუთარი ძალების, საკუთარი შესაძლებლობების
- სკოლასთან ადაპტაციის პერიოდში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს დღის რეჟიმის სწორად შედგენა. დატვირთვის შესამცირებლად და გადაღლის თავიდან ასაცილებლად სასურველია დღის ძილის ორგანიზება. ასევე საშინაო დავალებები, რომლებზეც ბევრი მასწავლებელი ვერ ამბობს უარს, უნდა შესრულდეს არა გვიან საღამოს, ძილის წინ, არამედ შუადღით. გარდა ამისა, ბავშვს უნდა რჩებოდეს პირადი დრო მულტფილმების საყურებლად, სასეირნოდ და ა.შ.
- განსაკუთრებული ყურადღება დავუთმოთ ფიზიკურ ვარჯიშებს. სკოლაში სწავლის დაწყებასთან ერთად ბავშვის მოძრაობითი აქტივობა სერიოზულად მცირდება, რაც ზიანის მომტანი შეიძლება აღმოჩნდეს ბავშვის ზრდისა და განვითარებისთვის. ამან შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს მის იმუნიტეტზე და გუნება-განწყობაზეც. სპორტის გაკვეთილები, რომლებიც სასკოლო პროგრამით არის გათვალისწინებული, ამ ასაკის ბავშვისთვის საჭირო მოძრაობითი აქტივობის 10% - საც კი ვერ უკეთებს კომპენსირებას. ამდენად აუცილებელია, რომ ბავშვი სკოლის გარეთაც იყოს მოტორული აქტივობებით და თამაშებით დაკავებული
- განვავითაროთ ბავშვის მოძრაობითი აქტივობა, ვინაიდან ამტანი ბავშვი, რომელიც შეჩვეულია ფიზიკურ დატვირთვას, ადაპტაციას უფრო იოლად ახერხებს, ვიდრე სუსტი და ნაკლებად მოძრავი ბავშვი
- სასკოლო ცხოვრების დაწყებით ეტაპზე სერიოზულ ყურადღებას საჭიროებს მხედველობასთან დაკავშირებული პრობლემები. აუცილებელია შევამციროთ თვალის დატვირთვა - ბავშვი რაც შეიძლება ნაკლებად უნდა იჯდეს ტელევიზორთან და კომპიუტერთან. საწერი მაგიდა დავდგათ ფანჯარასთან. ოთახი, რომელშიც ბავშვს უწევს მუშაობა, კარგად უნდა იყოს განათებული. ყურადღება მიაქციეთ ასევე იმას, თუ როგორ ზის ბავშვი - მანძილი თვალსა და წიგნს ან რვეულს შორის მკაცრად უნდა იყოს დაცული
- ანგარიში გავუწიოთ სათამაშოებთან ბავშვის დამოკიდებულებას. ხშირად პირველკლასელები ითხოვენ სათამაშოს სკოლაში წაღებას. ნამდვილად არ ღირს ამის აკრძალვა. რა თქმა უნდა ეს არ ეხება დიდი ზომის სათამაშოებს, კონსტრუქტორებს, ბარბის სახლებს. თუ ეს იქნება პატარა ზომის,

ბავშვისთვის საყვარელი სათამაშო, შეიძლება დავრთოთ ნება წაიღოს ის სკოლაში, თუმცა უნდა ავუხსნათ, რომ სათამაშოს ადგილი გაკვეთილზე არ არის და ამ სათამაშოთი თამაში მხოლოდ შესვენებაზე შეიძლება

- შევისწავლოთ საკუთარი ბავშვი სხვადასხვა სიტუაციებში დაკვირვების გზით. ეს დაგვეხმარება უკეთესად გავიცნოთ პატარა, მისი ხასიათის ესა თუ ის თვისებები
- ნუ დააკმაყოფილებთ ბავშვის ყველა მოთხოვნას, ბოროტად ნუ გამოიყენებთ ალერსს, ვინაიდან ამან შეიძლება მიგვიყვანოს ჯიუტობამდე და ჭირვეულობამდე
- ნუ ჩაახშობთ დამოუკიდებლობისკენ სწრაფვას
- შეეცადეთ უპასუხოთ ბავშვის ყველა შეკითხვას, ვინაიდან ცნობისმოყვარეობას ამ ასაკში საზღვრები არა აქვს
- ვასწავლოთ ბავშვს სასკოლო სირთულეებისათვის დამოუკიდებლად თავის გართმევა
- ნუ გაგაღიზიანებთ ბავშვის წარუმატებლობა. შეეცადეთ მშვიდად შეხვდეთ მის მარცხს, რადგანაც პატარა მტკივნეულად განიცდის მშობლის განაწყენებას
- დაეხმარეთ ბავშვს თანატოლებთან კეთილგანწყობილი დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში. ეს სკოლასთან ადაპტაციის პროცესს მნიშვნელოვნად დააჩქარებს
- ნუ ეჩხუბებით ბავშვს იმის გამო, რომ რაღაც კარგად ვერ გაიგო, ან რაღაც კარგად ვერ გააკეთა
- შეეცადეთ მისი სასწავლო საქმიანობა მხოლოდ დადებითად შეაფასოთ, მშინაც კი, თუ გეჩვენებათ, რომ მიღწეული წარმატებები აშკარად არასაკმარისია
- გამოიჩინეთ ინტერესი სკოლისა და კლასის მიმართ, რომელშიც სწავლობს თქვენი ბავშვი. კარგი იქნება, თუ მას უბრალოდ მოუსმენთ
- ნუ გააკრიტიკებთ თქვენს პატარას, მაშინაც კი თუ ის ცუდად წერს, ნელა ითვლის. აკლია სიფაქიზე. კრიტიკა, განსაკუთრებით უცხო ადამიანების თანდასწრებით მხოლოდ გაამწვავებს მის პრობლემებს
- გაითვალისწინეთ თქვენი შვილის ტემპერამენტი სასკოლო სწავლებასთან ადაპტაციის პროცესში. აქტიურ ბავშვებს უჭირთ ერთ ადგილას დიდხანს ჯდომა. შენელებული ტემპების მქონე ბავშვებისთვის კი რთულია სასკოლო რიტმთან შეგუება
- დადებითი კომენტარებით, გამოხმაურებებით წაახალისეთ ბავშვი არა მხოლოდ სასწავლო წარმატებების გამო. ნებისმიერი მორალური სტიმულირება, მხარდამჭერი სიტყვები უფროსების მხრიდან ეხმარება ბავშვს იგრძნოს თავი მნიშვნელოვნად ამა თუ იმ საქმიანობაში

- არასოდეს არავის შეადაროთ საკუთარი ბავშვი. ასეთი შედარებებით შეიძლება ბავშვს საკუთარი ძალების რწმენა დავუკარგოთ და თვითშეფასებაც დავუქვეითოთ. შედარება შეიძლება მხოლოდ ბავშვის დღევანდელი მდგომარეობის მის წარსულ მიღწევებთან
- გვახსოვდეს, რომ სიზარმაცე და ჭირვეულობა წარმავალია. არ ღირს ბავშვთან ჩხუბი და მისი დასჯა. უკეთესი იქნება, თუ დავეხმარებით პატარას, შევეცდებით დავუთმოთ მას მეტი დრო და ყურადღება. კარგად მუშაობს ყველა ხერხი: მოფერება, საალერსო სიტყვები, ჩახუტება, გულახდილი საუბრები, ზღაპრების მოყოლა ძილის წინ და სხვა
- გვახსოვდეს, რომ ბავშვების პრობლემები უფროსების პრობლემებზე მარტივი არ არის. კონფლიქტი მასწავლებელთან ან თანატოლთან ემოციონალური დაძაბულობით და შედეგებით შეიძლება უფრო მძიმე აღმოჩნდეს, ვიდრე ოჯახის უფროსი წევრების კონფლიქტი ხელმძღვანელობასთან სამსახურში

გვახსოვდეს აღზრდის ოქროს წესი

ბავშვი ჩვენს სიყვარულს ყველაზე მეტად მაშინ საჭიროებს, როცა ის ყველაზე ნაკლებად იმსახურებს ამას

შემეცნებითი პროცესების (აზროვნება, მეხსიერება, ყურადღება, წარმოსახვა) განვითარება

- გაკვეთილებზე ბავშვებს მოეთხოვებათ ყურადღების სწრაფი გადართვა ერთი საქმიანობიდან მეორეზე. ყურადღების ეს თვისება მშობლებმა შეიძლება განავითარონ სახლში მოძრაობითი სავარჯიშოების დახმარებით. ბავშვებმა შეიძლება შეასრულონ და შეწყვიტონ მოქმედება სპეციალური მითითებებით, ისე რომ სწრაფად გადავიდნენ ერთი სახის მოძრაობიდან მეორეზე (ფიზიკური სავარჯიშოების გამოყენება): სიარული, ხტუნაობა, გაჩერება
- შესთავაზეთ ბავშვს შემდეგი სავარჯიშო: გაზეთში ან ძველ წიგნში ერთ ხაზზე გადახაზოს ფანქრით ყველა ასო „ა“ ისე, რომ არცერთი არ გამორჩეს. (დავალება შეიძლება თანდათან გავართულოთ იმით, რომ ვთხოვოთ ბავსვს შემოხაზოს ყველა „ა“ ასო, წრე შემოავლოს ყველა ასო „დ“-ს და გახაზოს ყველა ასო „კ“
- გამოიყენეთ თამაშები გარკვეული წესებით
- მეხსიერების გასავარჯიშებლად წაუკითხეთ ბავშვს რაიმე მოთხრობა ან ზღაპარი და სთხოვეთ მისი გადმოცემა
- აზროვნების განვითარებისთვის გამოუმუშავეთ ბავშვს შედარების, ანალიზის და შეფასების უნარი. სთხოვეთ იპოვოს მსგავსება და განსხვავება საგნებს, მოვლენებს, ადამიანებს შორის. ამისათვის შეგიძლიათ გამოიყენოთ სათამაშოები, სასწავლო ნივთები, ნახატები და ა.შ.

- გვახსოვდეს, რომ შემეცნებითი პროცესების განვითარების საფუძველს ემოციურ-ნებელობითი სფეროს განვითარება წარმოადგენს, ამიტომ აუცილებელია შევუქმნათ ბავშვს თბილი, მყუდრო და მშვიდი გარემო. თუ ემოციონალური განვითარება სწორად წარიმართება და ბავშვი არ იქნება იმპულსური, ადეკვატურად აღიქვამს კრიტიკას, კონფლიქტურ სიტუაციებში არ იქნება აგრესიული და ა.შ., მის გონებრივ განვითარებაშიც სერიოზულ წარმატებებს მივაღწევთ.

დამტკიცებულია
ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლური სკოლის
აღმასრულებელი დირექტორის 2023 წლის 24 ნოემბრის №N 126
ბრძანებით

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლური სკოლის

მოსწავლეთა შორის მედიაციის მარეგულირებელი წესი

2023 წელი

მუხლი 1. მოქმედების სფერო

1. ეს წესი განსაზღვრავს ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლური სკოლის - შემდგომში „სკოლა“ მოსწავლეთა შორის არსებული კონფლიქტების მოგვარების ეფექტურ გზას, რომელიც მაქსიმალურად ითვალისწინებს მონაწილე მხარეთა ინტერესებს;

2. მოსწავლეთა შორის მედიაციის მარეგულირებელი წესი არის საუკეთესო საშუალება, რათა მოსწავლეთა შორის კონფლიქტის არსებობის შემთხვევაში, მოხდეს დროული და ეფექტური რეაგირება და მოსწავლეები, მათი კანონიერი წარმომადგენლების თანხმობით, თავად ჩაერთონ ამ პროცესში.

მუხლი 2. მოსწავლეთა შორის მედიაციის მიზნები და მნიშვნელობა

1. მოსწავლეთა შორის მედიაციის მარეგულირებელი წესის მიზანია მოსწავლეებს შორის კონფლიქტის შემთხვევაში ადრეული და ეფექტური ჩარევით, კონფლიქტური სიტუაციის მშვიდობიანი გადაწყვეტა, პროაქტიული რეაგირება და პრევენცია მათი კანონიერი წარმომადგენლების, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირებისა და ფსიქოლოგის (ასეთის აუცილებლობის შემთხვევაში) ჩართულობით.
2. მოსწავლეებს შორის კონფლიქტის გადაჭრის კომპრომისული გზის პოვნა, რომელიც ოპტიმალური იქნება ყველა დაინტერესებული მხარისთვის.
3. მნიშვნელოვანია, რომ მედიაციის მეშვეობით კონფლიქტის მონაწილე მხარეები თავად მივიდნენ კონფლიქტის მოგვარების გზამდე. სკოლის წარმომადგენლის მიზანი კი მედიაციის პროცესში უნდა იყოს, რომ მან მოსწავლეებს ნათლად აჩვენოს კონფლიქტის გადაწყვეტის სასურველი შედეგები. ამასთან, სკოლის წარმომადგენელმა ფასილიტაცია უნდა გაუწიოს კონსტრუქციულ დიალოგს და საჭიროების შემთხვევში, თავად შესთავაზოს მოსწავლეებს კომპრომისზე დაფუძნებული გამოსავალი.

მუხლი 3. მედიატორის მოვალეობები

1. მოსწავლეთა შორის კონფლიქტის გამოვლენის დროს მედიატორის როლს ასრულებს აღმასრულებელი დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირი/პირები, მოსწავლეთა კანონიერი წარმომადგენლების, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირებისა და ფსიქოლოგის (საჭიროების შემთხვევაში) ჩართულობით;

2. მედიატორმა უნდა შეძლოს:

2.1 მოსწავლეებს შორის არსებული წინააღმდეგობებისა და კონფლიქტების გაცნობიერება;
2.2 კონფლიქტური სიტუაციების ეფექტიანად მართვა/რეგულირება მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესთა გათვალისწინებით;

2.3 მოსწავლეთა შორის განვითარებული კონფლიქტის შესაძლო შედეგების პროგნოზირება;
2.4 მოსწავლეთა შორის კონფლიქტების შესაძლო ნეგატიური შედეგების თავიდან აცილება.
2.5 მოსწავლეებისათვის კონფლიქტური სიტუაციიდან გამოსავლის პოვნაში დახმარება;
2.6 მოსწავლეებს შორის კონსტრუქციული დიალოგის გამართვა;
2.7 მოსწავლეების კანონიერი წარმომადგენლებისა და სკოლის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მედიაციის პროცესში ჩართვა.
3. მედიატორი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალურობა და იყოს მიუკერძოებელი;
4. მედიატორი ვალდებულია შექმნას ისეთი ატმოსფერო, სადაც დაპირისპირებული მოსწავლეები კომფორტულად შეძლებენ კონფლიქტის გამომწვევი მიზეზების განხილვასა და მისი მოგვარების გზებზე მსჯელობას.
5. მედიაციის პროცესში მედიატორი მონაწილეობას იღებს როგორც ნეიტრალური მხარე და ეხმარება კონფლიქტის მონაწილე მოსწავლეებს საკუთარი და სხვების ინტერესების გააზრებასა და პოზიციების განსაზღვრაში;

მუხლი 4. მედიაციის დაწყების საფუძვლები და მედიატორის ფუნქცია

1. მედიაციის დაწყების საფუძველია მოსწავლეებს შორის კონფლიქტური სიტუაციის წარმოქმნა, ან კონფლიქტური სიტუაციის წარმოქმნის წინაპირობების არსებობა;
2. მედიატორი ვალდებულია:
2.1 დაადგინოს და გააანალიზოს მოსწავლეების ურთიერთობა კონფლიქტური სიტუაციის წარმოშობამდე;
2.2 შეისწავლოს მოსწავლეებს შორის არსებული კონფლიქტის გამომწვევი მიზეზები;
2.3 განიხილოს კონფლიქტში მყოფ მოსწავლეებს შორის არსებული ფაქტობრივი მდგომარეობა. (რამდენად აქტუალურია კონფლიქტი, რა გავლენა იქონია მან მოსწავლეებზე და ა.შ);
2.4 აგრძნობინოს მოსწავლეებს, რომ აღნიშნული პრობლემა არ წარმოადგენს გადაულახავ დაბრკოლებას და მდგომარეობიდან არსებობს კომპრომისული გამოსავალი;
2.5 მიიღოს ინფორმაცია მხარეებისათვის სასურველ შედეგებზე კონფლიქტური სიტუაციიდან გამომდინარე.
2.6 მედიატორის მოვალეობა არ არის კონფლიქტში მონაწილე მოსწავლეების დავის ერთპიროვნულად გადაწყვეტა. მან მხოლოდ ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეების მიერ გამოსავლის ძიების პროცესს.

მუხლი 5. მედიაციის ეტაპები

1. მედიაციის პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- **საერთო შეხვედრის გამართვა და მედიატორის მიერ კონფლიქტური სიტუაციის მოკლე აღწერა;**
- **დისკუსია;**
- **ინდივიდუალური გასაუბრება (საჭიროების შემთხვევაში);**
- **მედიაციის დასკვნითი ეტაპი.**

1.1 **საერთო შეხვედრის გამართვა და მედიატორის მიერ კონფლიქტური სიტუაციის მოკლე აღწერა** - მედიაციის პროცესის აქტიური ეტაპები უნდა წარიმართოს კლასის სხვა წევრებისა და უცხო პირებისაგან დამოუკიდებლად, სადაც მხარეებს შესაძლებლობა ექნებათ, კონფიდენციალურად განიხილონ ყველა არსებითი დეტალი. შეხვედრისას, უმჯობესია, თუ მედიატორი წარმოთქვამს ძალიან მოკლე შესავალ სიტყვას და მოსწავლეებს და სხვა დამსწრე პირებს კიდევ ერთხელ შეახსენებს მათი შეკრების მიზეზს. შესავალ სიტყვას უნდა ჰქონდეს დაძაბულობის განმუხტვის მიზანი. ამდენად, უმჯობესი იქნება, თუ მედიატორი თავის გამოსვლაში ჩართავს ერთ ან ორ მოკლე და სხარტ ხუმრობას, რათა მხარეებს მოეხსნათ დაძაბულობა. მედიატორის ან/და კანონიერი წარმომადგენლის მოთხოვნის შემთხვევაში შეხვედრას, შესაძლოა დასეწრონ ჩართული მხარეების კანონიერ წარმომადგენლები, საჭიროების შემთხვევაში შესაძლოა დაესწროს სკოლის ფსიქოლოგი.

1.2 **დისკუსია** - დისკუსიის ეტაპი არის მედიაციის ყველაზე მნიშვნელოვანი და ხანგრძლივი პროცესი. დისკუსიისას მოსწავლეებმა უნდა გამოთქვან საკუთარი შეხედულებები კონფლიქტის გამომწვევ მიზეზებთან, მათ ქცევებთან და გრძნობებთან დაკავშირებით. ამ დროს მედიატორის მთავარი ფუნქციაა, რომ მან ფასილიტაცია გაუწიოს მოსწავლეებს შორის არსებულ დიალოგს და საჭიროების შემთხვევაში, მათი ყურადღება დაუბრუნოს ძირითად განსახილველ საკითხს. მედიატორმა უნდა შეძლოს დიალოგის პროდუქტიულ რეჟიმში წარმართვა და საჭიროების შემთხვევაში, წარუდგინოს მოსწავლეებს არსებული მდგომარეობიდან გამოსავალი. ამასთან, მედიატორი აზუსტებს, აჯამებს და საბოლოო სახეს აძლევს მოსწავლეების პოზიციებს.

1.3 **ინდივიდუალური გასაუბრება** - თუ ამას საჭიროება მოითხოვს, მედიატორს უფლება აქვს რომელიმე მოსწავლესთან მოითხოვოს ინდივიდუალური გასაუბრება მშობლის თანხმობით ან/და დასწრებით, რომელსაც ასევე შესაძლოა დაესწროს სკოლის ფსიქოლოგი. ინდივიდუალური გასაუბრებისას მედიატორი ეხმარება მოსწავლეს მთლიანი სურათის დანახვაში, საკუთარი პოზიციის მესამე პირის პერსპექტივიდან შეფასებაში, მეორე მხარის შეხედულებების, არგუმენტებისა და გრძნობების გააზრებასა და გათავისებაში.

1.4 **მედიაციის დასკვნითი ეტაპი** - ორივე მხარის ჩართულობით. მედიატორი კიდევ ერთხელ აფასებს მედიაციის პროცესსა და მხარეების მოსაზრებებს. სასურველია, რომ შეჯამებისას მედიატორმა კვლავ მოკლე ხუმრობით განმუხტოს დაღლილობა და იზრუნოს იმაზე, რომ მოსწავლეები კვლავ დაუბრუნდნენ კონფლიქტამდე არსებულ მდგომარეობას.

მუხლი 6. მედიაციის პროცესის დასრულების შემდეგ განსახორციელებელი ღონისძიებები

1. თუ მედიაცია წარმატებით დასრულდა:

1.1 მედიაციის პროცესის წარმატებით დასრულება არ ნიშნავს იმას, რომ საკითხი სრულად ამოწურულია და ის აღარ საჭიროებს მასზე დამატებითი ყურადღების გამახვილებას. მედიაციის დასრულების შემდეგ, კლასის დამრიგებელ(ებ)მა, საგნის მასწავლებლებთან თანამშრომლობით პროაქტულად უნდა შეუწყოს ხელი მოსწავლეებს შორის მეგობრული ურთიერთობის აღდგენას. აღნიშნულისათვის შესაძლებელია გამოიყენონ ჯგუფური სამუშაოები და სხვადასხვა აქტივობები. მაგალითად, შესაძლებელია, მედიაციაში მონაწილე მოსწავლეები აღმოჩნდნენ ერთ სამუშაო ჯგუფში რომელიმე სახალისო დავალების შესრულებისას ან ერთ გუნდში, სხვადასხვა სახის სპორტული შეჯიბრებისას. ეს ხელს შეუწყობს მოსწავლეებს შორის არსებული დაძაბულობის ბოლომდე განმუხტვას და შესაძლებელი იქნება მედიაციის პროცესის საბოლოოდ შეფასება.

1.2 მნიშვნელოვანია, რომ მედიაციის პროცესის შესახებ ზოგადი და მოკლე ინფორმაცია ჰქონდეთ კლასის სხვა მასწავლებლებსაც, რათა მათაც აწარმოონ დაკვირვება მედიაციის პროცესზე და საჭიროების შემთხვევაში, აცნობონ არსებული მდგომარეობა კლასის დამრიგებელს.

2. თუ მედიაცია წარუმატებლად დასრულდა მედიატორმა მიმართოს სკოლის აღმასრულებელ დირექტორს საქმის დისციპლინურ კომიტეტზე განხილვის რეკომენდაციით.

მუხლი 7. მოსწავლეთა შორის მედიაციის მარეგულირებელი წესის მიღება და მასში ცვლილების შეტანა

1. მოსწავლეთა შორის მედიაციის მარეგულირებელ წესს შეიმუშავებს და ბრძანებით ამტკიცებს აღმასრულებელი დირექტორი.
2. სკოლის მოსწავლეთა შორის მედიაციის მარეგულირებელი წესის გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული წესით.

დამტკიცებულია
ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის
მართლმადიდებლური სკოლის
აღმასრულებელი დირექტორის 2023 წლის 20 ნოემბერი სN124 ბრძანებით

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლური სკოლის

მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმი

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლური სკოლის მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმების მიზანს წარმოადგენს ზოგადი განათლების ფარგლებში სასკოლო ინტერესების გატარების პროცესში მოსწავლეთა ჩართვა, საერთაშორისო ასპარეზზე სკოლის პოპულარიზაცია, მოზარდ და ახალგაზრდა თაობაში საქართველოს შესახებ ცნობიერების გაზრდა, კულტურული, სამეცნიერო და შემოქმედებითი სწავლების ხელშეწყობა, ინფორმირებულობის გაზრდა, მოსწავლეთათვის საინტერესო თემების პოპულარიზაციაში ხელშეწყობა, აგრეთვე, ზემოაღნიშნული მიზნების საინფორმაციო მხარდაჭერა.
მოსწავლეთა ინიციატივების მხარდასაჭერად სასწავლო წლის ნებისმიერ დროს ახორციელებს განაცხადების (იხ. დანართი N1) მიღებას მოსწავლის/მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფების მხრიდან.
დაწესებულება ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ნებისმიერი ინიციატივის განხორციელებას, მათ შორის ისეთს, რომელიც მოითხოვს ფინანსურ მხარდაჭერას. ასეთ შემთხვევაში სკოლა წლიურად დააფინანსებს არანაკლებ 3 საუკეთესო ინიციატივას.
კონკრეტული ინიციატივის მაქსიმალური ბიუჯეტი შეადგენს 500 ლარს.

მოსწავლის/მოსწავლეთა ინიციატივა:

- არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს სკოლის მისიასა და სასკოლო საზოგადოების ინტერესებს;
- არ უნდა სცდებოდეს ეთიკის ნორმებს;
- არ უნდა სცდებოდეს ასაკობრივ ცენზს;
- არ უნდა ემსახურებოდეს რელიგიურ თუ რელიგიურ ან სხვა ნიშნით დისკრიმინაციის პროპაგანდას)

განაცხადის განხილვის ეტაპზე უპირატესობა მიენიჭება ისეთ განაცხადს, რომელიც ხელს შეუწყობს:

1. მოსწავლეთა აკადემიურ, სოციალურ და ფსიქოლოგიურ განვითარებას;
2. მოსწავლეებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას;
3. მოსწავლეთა ჩართულობას სამოქალაქო აქტივობებში;
4. მოსწავლეებში ორგანიზაციული უნარების ჩამოყალიბებას;
5. მისცემს მოსწავლეებს თვითრეალიზაციის საშუალებას;
6. აამაღლებს მოსწავლეთა ჩართულობას დაწესებულების ორგანიზებით განხორციელებულ აქტივობებში და ხელს შეუწყობს სასწავლო გარემოს გამრავალფეროვნებას;
7. სგემ-ის მიზნების განხორციელებას;
8. სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების დანერგვას.

განაცხადის თემა მოსწავლეთათვის არის თავისუფალი, ხოლო რაც შეეხება გადარჩევას, განცხადების დაკმაყოფილებაზე ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს აღმასრულებელი დირექტორი

განცხადების შეტანიდან 10 დღის ვადაში, რომელიც ეცნობება განმცხადებელ პირს ან პირთა ჯგუფს.

დანართი N1.

განაცხადის ფორმა

ინიციატივის/პროექტის სახელწოდება:	
მოკლე აღწერა:	
განხორციელების სავარაუდო ვადა:	
მიზანი:	
მოსალოდნელი შედეგი:	
ჩართული პირები:	

გთხოვთ, მოკლედ აღწეროთ რა სახის მხარდაჭერა გესაჭიროებათ სკოლის მხრიდან. დაფინანსების საჭიროების შემთხვევაში, გთხოვთ, წარმოადგინოთ ბიუჯეტი.

აღწერა:

ბიუჯეტის ცრილი

	აქტივობის/ნივთის დასახელება	1 ერთეულის ღირებულება	რაოდენობა	საფასური
1				
2				
3				
4				
5				
				სულ: